ბავშვთან საუბარი საკუთარი კუთხის

დალაგების შესახებ

LIVING DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.living-democracy.com

PH ZH
IPE – INTERNATIONAL PROJECTS IN EDUCATION
ZURICH UNIVERSITY OF TEACHER EDUCATION

დალაგების შესახებ

თქვენს ერთი წლის შვილთან - მარკთან კარგად გაერთეთ. ერთად ააშენეთ დიდი სახლი და ციხე-კოშკი, სათამაშო კუბურებით. შემდეგ მანქანებს დაატარებდით ამ შენობების გარშემო და თქვენი აშენებული სახლი ნახევრად დაინგრა. მარკმა ბევრი წიგნი ჩამოიღო თაროდან. შედეგად იატაკზე უწესრიგოდ ყრია სათამაშო კუბურები, წიგნები, სათამაშო მანქანები და ბევრი სხვა რამ. როდესაც დალაგების დრო დგება, გინდათ რომ თქვენი ბავშვი მოგეხმაროთ, თუმცა მარკს ეს არ აინტერესებს, დაღლილია, თან მოშივდა და სათამაშოების აქეთ-იქით სროლას იწყებს

გეცნობათ სიტუაცია? როდის ხდება მსგავსი რამ? როგორ რეაგირებთ მსგავს სიტუაციებზე?

ჩვენ გთავაზობთ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაართვათ თავი ამგვარ სიტუაციებს. თუმცა ჯერ გაეცანით რამდენიმე კითხვას, რომელიც გაგახსენებთ თქვენს განწყობასა და რეაქციებს ამგვარ სიტუაციებზე.

ანალიზი

როგორ ვრეაგირებ მსგავს სიტუაციებზე?

_____

_____

_____

_____

რა რეაქცია ექნება მარკს?

_____

_____

_____

_____

რას მოვიმოქმედებ მე მარკის რეაქციას რომ შევამჩნევ?

_____

_____

_____

_____

ეს სიტუაცია კონფლიქტამდე ხომ არ მიგვიყვანს? თუ ამას კონფლიქტი მოჰყვება, როგორ უნდა მოვაგვარო ეს კონფლიქტი? რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს?

_____

_____

_____

_____

როგორი დასასრული ექნება სიტუაციას?

_____

_____

_____

_____

რჩევები

ქვევით მოცემულია მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვმართთ მსგავსი სიტუაცია. თუ საშუალება გაქვთ გაესაუბრეთ ამ თემაზე თქვენს მეუღლეს ან თქვენს მეგობრებს. გაუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება.

გსურთ რაიმეს შეცვლა? ჩვენ გვსურს შემოგთავაზოთ ჩვენი მოსაზრებების პრაქტიკაში გამოცდა, ბავშვთან, რომელიც დაღლილია და არ სურს დაალაგოს საკუთარი კუთხე.

როდესაც ბავშვს საშუალებას აძლევთ ისწავლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ამით თქვენ მას ეხმარებით ჩამოყალიბდეს საზოგადოების წევრად, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე და აქტიურად მონაწილეობს დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდს: http://www.living-democracy.com/ge/suggestions/?key_concept=responsibility

- დაფიქრდით როგორ ესაუბრებით თქვენს ბავშვს: თუ ხშირად იყენებთ მითითებებს, ბრძანებებს, მკაცრ ტონსა და საყვედურებს, ამით შესაძლებელია შეაფერხოთ ბავშვის განვითარება ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მსგავს დამოკიდებულებას ბავშვი მტკივნეულად აღიქვამს და შესაძლებელია ამით ვერაფერი ისწავლოს. ეცადეთ არ გამოიყენოთ ბრძანებითი კილო, მაგალითად: „ახლავე აალაგე შენი ნივთები!“, „დაალაგე ოთახი!“
  თუ გსურთ მეტი ინფორმაცია მიიღოთ კომუნიკაციის სტილზე, რომელიც არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს და, ასევე, კომუნიკაციის სტილზე, რომელიც უკუშედეგის მომტანია, განაგრძეთ კითხვა მე -5 გვერდზე.
- ეცადეთ შესთავაზოთ ბავშვს არჩევანი და დაუსვათ კითხვები, რომლებზე პასუხადაც იგი საკუთარი მოსაზრების გამოთქმას შეძლებს, მაგალითად: რა უნდა მოუხერხო ამდენ სათამაშოს, როდესაც თამაშს დაასრულებ?“
- ბავშვებს სიამოვნებთ პოზიტიური კომენტარები. შეგიძლიათ იგი შეაქოთ ან დადებითი ემოცია გამოხატოთ, როდესაც ბავშვი კონსტრუქციულ ქმედებას გთავაზობთ, ან ამგვარად უპასუხოთ: „მართალი ხარ, ჩვენ ავალაგებთ სათამაშოებს, ყოჩაღ!“, ან „ვიცი რომ დაღლილი ხარ. მოდი ერთად სწრაფად ავალაგოთ და მერე სადილი მივირთვათ“, ან „ვხვდები რომ ბრაზობ, გინდა ხვალ ავალაგოთ?”
- მოიქეცით ისე, რომ ბავშვმა მოგბაძოთ: აჩვენეთ მას როგორ უნდა დალაგდეს წიგნები თაროზე, როგორ უნდა მოათავსოს სათამაშო კუბურები ერთ ყუთში და სათამაშო მანქანები - მეორეში. მოწესრიგებული უნდა გქონდეთ თქვენი საკუთარი დოკუმენტებიც, წიგნები, სამზარეულოს აქსესუარები. თქვენი ბავშვი ამას შეამჩნევს და თქვენგან მაგალითს აიღებს: „მე მარტივად ვპოულობ იმას, რაც მსურს, და ეს უფრო სახალისოა როდესაც ყველაფერი წესრიგში და მილაგებულია!“
- წაახალისეთ ბავშვი გაგიზიაროთ რას ფიქრობს და მოუსმინეთ მას. ამგვარად თქვენ ხელს უწყობთ მისი ლექსიკური მარაგის შევსებას და მათ ტვინში ნეირონების ქსელის მოწესრიგებას.

უკუშედეგის მქონე გზავნილები[1]:

გზავნილები და გამონათქვამები, რომლებიც უარყოფით ემოციებსა და რეაქციებს იწვევს თქვენს ბავშვში, უკუშედეგის მქონე გზავნილებად მიიჩნევა. თქვენ ამგვარად მოპყრობის დროს პატივს არ სცემთ და შემწყნარებლობას არ იჩენთ თქვენი ბავშვის მიმართ. პატივისცემა და შემწყნარებლობა დემოკრატიული ქცევის საფუძველს წარმოადგენს და ამგვარი გზავნილებით თქვენ ბავშვში საპირისპირო ქცევის განვითარებას უწყობთ ხელს. ბავშვმა შესაძლებელია მოკლე პასუხი გაგცეთ, თავის დასაცავად, იმის გამოსახატავად, რომ თავს დამცირებულად გრძნობს და რომ მას ვერ გაუგეს. ამგვარი გზავნილები კონფლიქტის საწინდარია და ზოგჯერ კომუნიკაციის ერთბაშად შეწყვეტას იწვევს.

უკუშედეგის მქონე გზავნილები ბავშვის განვითარების შეფერხებას იწვევს. ბავშვები ვერ ახერხებენ საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენებას, როდესაც მათ მხოლოდ ნეგატიური ხასიათის და დამამცირებელი გზავნილები ესმით. შედეგად, ისინი ვერ ახერხებენ ჩამოყალიბდნენ ძლიერ პიროვნებებად, რაც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

თქვენი კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად და ბავშვთან უფრო დემოკრატიული მიდგომების გამოსაყენებლად, საჭიროა თავდაპირველად შეაფასოთ კომუნიკაციის ის ჩვევები, რომლებსაც თქვენ ფლობთ. გსურთ საკუთარი ჩვევების შეფასება? დაიწყეთ ტრენინგი მომდევნო გვერდზე!

ტრენინგი[1]:

ქვევით მოცემულია უკუშედეგის მქონე გზავნილების სხვადასხვა მაგალითი. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, აწარმოეთ დაკვირვება თქვენს კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ჩვევებზე. ყოველ ჯერზე, როდესაც ერთ-ერთ ამ გზავნილს გამოიყენებთ, დაიტანეთ აღნიშვნა მის გვერდზე.

ბრძანება, მითითება

- შენ უნდა...
- მოემზადე...
- უთხარი „გამარჯობა“...
- კარგად მოიქეცი...

დატუქსვა, საყვედური, მუქარა

- ყოველთვის ასე იქცევი...
- არასდროს არ აკეთებ...
- თუ ასე არ მოიქცევი... მაშინ...
- ბოლოსდაბოლოს როდის...
- რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ...

მორალის კითხვა

- შენით ვიამაყებდი, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული ვარ, რადგან შენ არ....
- დედა ცუდ ხასიათზეა, რადგან შენ ასეთი გაუგონარი ხარ.
- იცი რამდენი მშიერი ბავშვია, რომელიც ამ საჭმელს ნატრობს?
- ერთხელ თუ მოიტყუე, ე.ი. მატყუარა ხარ...

რჩევის მიცემა და შედარება

- შენს ადგილას რომ ვიყო, ასე მოვიქცეოდი...
- სხვა ბავშვების მშობლები იცი რას მოიმოქმედებდნენ...
- შენი და ყოველთვის ალაგებს საკუთარ ოთახს.
- ეს ყველასთვის ნათელია, შენ კი...

„ბავშვთან საუბარი საკუთარი კუთხის დალაგების შესახებ" ემყარება შემდეგ ლიტერატურას:

[1] Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 74ff.

Nolan, Virginia. 2016. «Die Macht der Sprache.» *Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi,* Oktober, 58-64.